ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3641193

ნომერი: AR1550688

თარიღი : 20.10.2017

გაცემის თარიღი : 26.10.2017

გაცნობის თარიღი : 26.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაზისუბანი , მიკრო/რაიონი III , კვარტალი II , ნაკვეთი 11/005-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 11/036);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბორის ხატიაშვილი პ/ნ 01024044086
- თბილისი საბურთალოს ქ. N 40 ბ. 54

ორგანიზაცია:
- ბილდ ჯორჯია კოდი: 405085731

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2815567
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.09.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

1. თქვენი განმარტების შესაბამისად თანამესაკუთრეთა ფართები და იპოთეკით დატვირთული ფართები განხორციელებული მშენებლობით არ შეცვლილა. საჭიროა წარმოადგინოთ ნინო ტურიაშვილისთვის გადასაცემი ფართების ანაზომი; გაითვალისწინეთ, რომ თუ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოებით შეიცვალა ნინო ტურიაშვილისთვის გადასაცემი ფართები (40,62), მაშინ საჭიროა ნინო ტურიაშვილის თანხმობა.
2. გათბობა-კონდიცირების აგრეგატები საჭიროა მოეწყოს შენიღბულ ადგილზე, ისე რომ გარე ფასადზე არ იყოს ხილვადი, ასევე საჭიროა ატვირთოთ ტერიტორიის კეთილმოწყობის ანაზომი - კ3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართით - ,,კროკით"- შესაბამისი ფართის მითთებით, ასევე გაითვალისწინეთ, რომ აღნიშნულის დამადასტურებელი საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი აქტი;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს თქვენს თხოვნას.
საკითხის კვლავ ხარვეზით შემობრუნების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.